

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



„ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ“

აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მ/შ
აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

კახაბერ კირტავა

„—30—“, 12-„ 2014 წელი

2 ეგზ.

ქობულეთის მუნიციპალიტეტი

ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის ანგარიში N 35/105

2012 წლის 1 იანვარი - 2012 წლის 31 დეკემბერი

სარჩევი

აუდიტის ანგარიში

<i>აუდიტის მაშტაბი</i>	<i>3</i>
<i>დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ.....</i>	<i>3</i>
<i>ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა</i>	<i>3</i>
<i>აუდიტორის პასუხისმგებლობა</i>	<i>4</i>
<i>პირობითი მოსაზრების საფუძველი ფინანსური ანგარიშგების შესახებ.....</i>	<i>4</i>
<i>პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ</i>	<i>6</i>
<i>დასკვნა საქმიანობის კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ.....</i>	<i>6</i>
<i>ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა</i>	<i>6</i>
<i>აუდიტორის პასუხისმგებლობა</i>	<i>7</i>
<i>პირობითი მოსაზრების საფუძველები კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ.....</i>	<i>7</i>
<i>პირობითი მოსაზრება კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ</i>	<i>16</i>
<i>მნიშვნელოვან საკითხთა ხაზგასმა</i>	<i>16</i>
<i>შესყიდვების დაგეგმვა-შესრულება</i>	<i>16</i>
<i>შესრულებულ სამუშაოთა მიღება-ჩაბარების მდგომარეობა</i>	<i>16</i>
<i>ბიუჯეტის შედგენა -შესრულების მდგომარეობა.....</i>	<i>17</i>
<i>ანგარიშგების ფორმები.....</i>	<i>20</i>

აუდიტის მაშტაბი

აუდიტის დეპარტამენტმა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ჩაატარა ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსირებადი ორგანიზაციების ფინანსური და მუნიციპალიტეტის გამგეობის, ა(ა)იპ „საბავშვო ბაღების გაერთიანების“, ა(ა)იპ „ქობულეთის გამწვანებისა“ და ა(ა)იპ „ქობულეთის პარკის“ საქმიანობის მოქმედ კანონმდებლობასა და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობის აუდიტი. აუდიტორული პროცედურები განხორციელდა შერჩევითობის მეთოდის გამოყენებით გენერალური ერთობლიობის შესახებ დაკვნის გამოსატანად.

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ

ქობულეთის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას

აუდიტის დეპარტამენტმა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, ჩაატარა ქობულეთის მუნიციპალიტეტის ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი, რომელმაც მოიცვა მუნიციპალიტეტის და მის დაქვემდებარებაში შემავალი ორგანიზაცი-დაწესებულებების 2012 წლის ბალანსების, ეკონომიკური კლასიფიკაციის შესაბამისად ხარჯების, არაფინანსური აქტივების საკასო ოპერაციების, ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების, წმინდა ღირებულების, სხვა შემოსავლებიდან მიღებული სახსრების მოძრაობის, ფულადი გრანტების, არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულების ცვლილებებისა და ავტომატური ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ ანგარიშგებები. 2012 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდის აუდიტი ასევე მოიცავს ანგარიშს დებიტორულ-კრედიტორული დავალიანების შესახებ.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მის სამართლიან წარდგენაზე საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციისა და 2008 წლის 16 აპრილის „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ N364 ბრძანების შესაბამისად.

აღნიშნული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების

მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში პასუხისმგებელია, რომ აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებებზე.

აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორის მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნეს დასაბუთებული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობას.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხებისა და განმარტებითი შენიშვნების შესახებ. პროცედურები შეირჩევა აუდიტორის პროფესიული განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკების შეფასებას, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს აუდიტორი განიხილავს, შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლი მუნიციპალიტეტის გამგეობისა და მიდამი დაქვემდებარებულ ორგანიზაციებში ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის, რომ განსაზღვრულიყო მოცემული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოთქვას შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებულ სააღრიცხვო პოლიტიკისა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების მართებულობის შეფასებას, ასევე მთლიანად ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი ფინანსური ანგარიშგების შესახებ

1. აქტივების მართვაში არსებული ხარვეზების შედეგად, ბიუჯეტში მიუმართავი თანხების ოდენობა 30,9 ათას ლარს შეადგენს, რაც აქტივების განკარგვის არაპროდუქტიულობაზე მიუთითებს.

დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის სახით, საანგარიშო პერიოდში, ბიუჯეტის შესაბამის შემოსავლებში ჩარიცხულია 190.0 ათასი ლარი, რაც

გეგმური მაჩვენებლის 95 პროცენტი. დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელი შემოღებულია ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებით, რომლის შესაბამისადაც მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის სამსახური ახდენს ხელშეკრულებების გაფორმებას და მასვე ეკისრება აღნიშნული მოსაკრებლის ამოღება. მოწოდებული ინფორმაციის შესაბამისად, 2012 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ხელშეკრულებები გაფორმებულია 1758 ფიზიკურ თუ იურიდიულ პირთან, რომელთა შესაბამისადაც დასუფთავების მოსაკრებლის სახით გადახდას დაექვემდებარა 204,7 ათასი ლარი. ფაქტიურად 2012 წელს აღნიშნული პირების მიერ გადახდილია 173,8 ათასი ლარი ანუ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ გადასახდელ თანხასთან შედარებით 30,9 ლარით ნაკლები, 16,2 ათასი ლარი ჩარიცხულია წინა წლებში არსებული დავალიანების გადახდის მიზნით. აღსანიშნავია, რომ არ არის შემუშავებული ცალკეული გადამხდელის მიერ მოსაკრებლის გადახდისა და დავალიანების აღრიცხვის მექანიზმი. ამასთან, ტერიტორიის დასუფთავებასთან დაკავშირებით გაფორმებული ხელშეკრულებები, მოსაკრებლის გადაუხდელობის შემთხვევაში ითვალისწინებს პირგასამტეხლოს დარიცხვასაც, რაც აუდიტის პერიოდში არ არის აღრიცხული.

2. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მიერ, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდთან გაფორმებული ხელშეკრულებების შესაბამისად, 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით თანაგადახდის სახით გადახდილია 10047,5 ათასი ლარი, ხოლო სესხის მომსახურების სახით - 1349,4 ათასი ლარი. ამასთან, აუდიტის მიმდინარეობისას ვერ იქნა წარმოდგენილი ინფორმაცია ქობულეთის წყალინარების პროექტის ფარგლებში განხორციელებული აქტივობების შესახებ.

2010-2011 წლებში, ქობულეთის მუნიციპალიტეტსა და საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს შორის გაფორმდა ხელშეკრულებები ქობულეთის მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებასთან დაკავშირებით. გაფორმებული 4 ხელშეკრულების საერთო ღირებულება 16948,2 ათასი ლარით განისაზღვრა, საიდანაც მუნიციპალიტეტის თანამონაწილეობა 10047,5 ათას ლარს შეადგენს, რაც მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულების 59,3 პროცენტი, ამასთან გაფორმებული ხელშეკრულებების პირობების შესაბამისად, პროექტის განხორციელება მთლიანად საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის უფლებამოსილებაა.

მუნიციპალიტეტის მიერ თანამონაწილეობის სახით გადახდილი თანხებიდან 5647,8 ათასი ლარი გადახდილია მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსავლებიდან, ხოლო 4399,8 ათასი ლარი - მუნიციპალიტეტის მიერ აღებული სესხის ანგარიშიდანაა დაფარული. ამასთან, სესხის სარგებლობის საპროცენტო თანხა 6463,0 ათას ლარს შეადგენს.

აუდიტის მიმდინარეობისას წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, 2012 წელს სესხის ძირითადი თანხის დაფარვის მიზნით გადახდილია 117,4 ათასი ლარი, ხოლო

პროცენტის სახით 503,4 ათასი ლარი. ამასთან, ზემოთ აღნიშნული ინფრასტრუქტურული პროექტებიდან დასრულებულია სამი - ქობულეთის მუნიციპალიტეტის დაბა ოჩხამურისა და ცეცხლაური-ჯიხანჯურის წყალსადენის რეაბილიტაციის სამუშაოები -1065,5 ათასი ლარი, ქ. ქობულეთში, მეგობრობის ქუჩის სანიაღვრე კანალიზაციის სარეაბილიტაციო და სატუმბი სადგურის სამშენებლო სამუშაოები - 916,2 ათასი ლარი და დ. აღმაშენებლის გამზირის სარეაბილიტაციო სამუშაოები -5761,3 ათასი ლარი, ხოლო ქალაქის წყალინარების სამუშაოები, რომლის განხორციელებაც გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად 2010 წლიდან იწყება და რისთვისაც მუნიციპალიტეტის მიერ 2012 წლის ჩათვლით გადახდილია 544,4 ათასი ლარი, არ დასრულებულა. ამასთან, აუდიტის მიმდინარეობისას ვერ იქნა წარმოდგენილი ინფორმაცია აღნიშნული პროექტის ფარგლებში განხორციელებული აქტივობების შესახებ.

3. ა(ა)იპ „ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ ბალანსზე არასრულად არის აღრიცხული მის გამგებლობაში მყოფი ძირითადი აქტივები.

ა(ა)იპ „ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ ბალანსზე, 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ნაშთად ირიცხება 2020,0 ათასი ლარის ნარჩენი ღირებულების ძირითადი აქტივები. მათ შორის მიწა - 360,8 ათასი ლარის და შენობა-ნაგებობა - 1640,6 ათასი ლარის ღირებულებით. ამასთან, სოფელ აჭყვისთავის საბავშვო ბაღის შენობა, გაერთიანების სტრუქტურაში ასახვის მიუხედავად, ირიცხება მუნიციპალიტეტის გამგეობის ბალანსზე, 20,0 ათასი ლარის ნარჩენი საბალანსო ღირებულებით.

პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძვლებში აღწერილი საკითხების ფინანსურ ანგარიშგებაზე შესაძლო გავლენის გარდა, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით სამართლიანად ასახავს ქობულეთის მუნიციპალიტეტისა და მისდამი დაქვემდებარებული ორგანიზაცია-დაწესებულებების ფინანსურ მდგომარეობას 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მათი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ სააღრიცხვო პერიოდისთვის, რომლებიც დასრულდა მოცემული თარიღით.

დასკვნა საქმიანობის კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და მის სამართლიან წარდგენაზე პასუხისმგებლობის გარდა, რომელიც აღწერილია ზემოთ, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია, რომ უზრუნველყოს საქმიანობისა და ფინანსური ოპერაციების კანონმდებლობასთან შესაბამისობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

გარდა ფინანსურ ანგარიშგებაზე მოსაზრების გამოთქმის პასუხისმგებლობისა, რომელიც აღწერილია ზემოთ, აუდიტის დეპარტამენტის აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში პასუხისმგებლობაა აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ. ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი წარმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორების მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნეს გონივრული რწმუნება იმის შესახებ შეესაბამება თუ არა მუნიციპალიტეტის გამგეობისა და მისდამი დაქვემდებარებული ორგანიზაციების საქმიანობა და ფინანსური ოპერაციები მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

პირობითი მოსაზრების საფუძველები კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ

1. სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სასურსათო მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დოკუმენტური დასაბუთების გარეშე ანაზღაურებულია 55,6 ათასი ლარი, რაც საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივ განკარგვაზე მიუთითებს.

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული¹ სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სასურსათო მხარდაჭერის პროგრამის 2012 წლის პროგრამის ბიუჯეტი 56,0 ათასი ლარით განისაზღვრა. პროგრამის საკასო ხარჯმა 48,2 ათასი ლარი შეადგინა და ის ქობულეთში მცხოვრები 0-100000 ქულის მქონე 1400 ბენეფიციარის სასურსათო პაკეტით უზრუნველყოფას ითვალისწინებდა.

პროგრამის შესრულების მიზნით გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში² გამარჯვებულად დასახელდა შპს „მაჯა“, რომელთანაც 2012 წლის 20 აგვისტოს გაფორმებული იქნა ხელშეკრულებები პროგრამით განსაზღვრული სასურსათო პაკეტების შეძენა-მიწოდების შესახებ. ხელშეკრულებების საერთო ღირებულება 55,6 ათასი ლარით, ხოლო ერთეული მომსახურების ღირებულება კი 39,71 ლარით განისაზღვრა.

პროგრამის შესრულების შესახებ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, 2012 წელს 1215 ბენეფიციარს გადაეცა სასურსათო პაკეტი. აღნიშნული დოკუმენტაციით ვერ დგინდება სასურსათო პაკეტის მიმღებ პირთა სოციალური სტატუსის განმსაზღვრელი ქულები. შესაბამისად, პროგრამის ფარგლებში საბიუჯეტო სახსრების დოკუმენტური

¹ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება N135. 27.07.2012

² SPA 120021819

დასაბუთების გარეშე განკარგვა, საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივ განკარგვაზე მიუთითებს.

2. შესყიდვების მართვასთან დაკავშირებული ხარვეზის შედეგად, ადგილი აქვს კონკურენციის შეზღუდვის, სატენდერო განცხადების მოთხოვნების არასრულად განსაზღვრისა და არაერთგვაროვანი მიდგომის ფაქტებს, რაც ხელს უშლის საბიუჯეტო რესურსის ეკონომიურ, პროდუქტიულ და ეფექტიან განკარგვას

2012 წლის 7 ივლისს, ქობულეთის მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი, ქ. ქობულეთში, რუსთაველის ქუჩის მონაკვეთის, (თავისუფლების ქუჩიდან, ვერულიძის ქუჩამდე) ტროტუარის მოწყობის სამუშაოების შესყიდვაზე. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება 595,0 ათასი ლარით განისაზღვრა. სატენდერო კომისიის მიერ დამტკიცებული სატენდერო განცხადების შესაბამისად, პრეტენდენტებს საკუთრებაში ან სარგებლობაში უნდა ჰქონოდათ სხვადასხვა სახის ტექნიკური საშუალებები, რომელთა ქონის აუცილებლობა, შესასრულებელ სამუშაოსთან მიმართებით მუნიციპალიტეტის მიერ ვერ დასტურდება. ამასთან, პრეტენდენტებს 2010-2011-2012 წლებში შესრულებული უნდა ჰქონოდათ ელექტრონული ტენდერით გათვალისწინებული ანალოგიური ხასიათის, სირთულისა და შინაარსის სამშენებლო სამუშაოები. კერძოდ, ტროტუარებისა და ბორდიურების მოწყობის სამუშაოები, საერთო ღირებულებით არანაკლებ 1 მილიონი ლარისა.

შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში არსებული ინფორმაციის შესაბამისად, ტენდერში მონაწილეობა მიიღო 1 პრეტენდენტი - შპს „გზა XXI“, რომლის მიერ სისტემაში ატვირთული ტექნიკური დოკუმენტაცია არ შეესაბამება სატენდერო განცადებით მოთხოვნილ პარამეტრებს, კერძოდ:

N	დასახელება	მოთხოვნილია სატენდერო განცხადებით	ფაქტიურ სარგებლობაშია	შენიშვნა
1	ბულონური	1	0	
2	დამტვირთავი	8	0	
3	ექსკავატორი	4	2	იჯარა
4	ავტოთვიტმცლელი	10	4	იჯარა
5	გრეიდერი	4	2	იჯარა
6	სატკეპნი	4	1	იჯარა
7	ასფალტოდამგები	1	0	
8	ავტობეტონმზიდი	1	0	

ამასთან, სატენდერო განცხადებით მოთხოვნილია, რომ პრეტენდენტის გამოცდილების განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება ელექტრონული ტენდერით განსაზღვრული ანალოგიური სამუშაოების შესრულება, თუმცა სატენდერო წინადადების განხილვისას გათვალისწინებულია კერძო კომპანიების დაკვეთით შესრულებული სამუშაოები, სადაც ელექტრონული ტენდერი არ არის გამოყენებული.

ზემოთ აღნიშნულის მიუხედავად, სატენდერო კომისიამ³ შპს „გზა XXI“-ის მიერ წარდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები დამაკმაყოფილებლად შეაფასა და მასთან 2012 წლის 13 აგვისტოს გაფორმდა ხელშეკრულება 588,4 ათასი ლარის ღირებულებით.

✓ ანალოგიური მდგომარეობაა ქ. ქობულეთში 1კმ მონაკვეთის ნაპირგასამაგრი სამუშაოების შესყიდვასთან, 2011 წლის 17 ოქტომბერს გამოცხადებული ელექტრონული ტენდერის სატენდერო განცხადებასთან დაკავშირებით. სატენდერო დოკუმენტაციის შესაბამისად, პრეტენდენტს უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში შესრულებული უნდა ჰქონოდა ელექტრონული ტენდერით გათვალისწინებული ანალოგიური ხასიათის, სირთულის და შინაარსის სამშენებლო სამუშაოები, საერთო ღირებულებით არანაკლებ 15,0 მილიონი ლარის ოდენობით, რაზეც სისტემაში ატვირთული უნდა ყოფილიყო შესაბამისი ხელშეკრულებები და მიღება-ჩაბარების აქტები. ამასთან, ამ პერიოდში შესყიდვაში მონაწილეობის მსურველ პირს ერთ-ერთ ობიექტზე შესრულებული უნდა ჰქონოდა ანალოგიური (ნაპირსამაგრი, ჯებირი, რკინა-ბეტონის საყრდენი კედლები და სხვა) ხასიათის, სირთულისა და შინაარსის სამუშაოები, ღირებულებით არანაკლებ 2 მილიონი ლარი.

გამარჯვებული პრეტენდენტის, შპს „კომპანია ბლექ სი გრუპის“ მიერ სისტემაში ატვირთული დოკუმენტაციის შესაბამისად, კომპანიის მიერ შესრულებული სამუშაოების ღირებულება შეადგენს 149,6 მილიონ ლარს, თუმცა ეს სამუშაოები ეხება არა ნაპირგასამაგრ სამუშაოებს, როგორც ეს სატენდერო განცხადებითაა მოთხოვნილი, არამედ გზების რეაბილიტაციის სამუშაოებს. ამასთან, შესასრულებელ სამუშაოსთან მიმართებით, სატენდერო განცხადებით განსაზღვრული ტექნიკის ქონის აუცილებლობა, მუნიციპალიტეტის მიერ ვერ დასტურდება.

✓ სატენდერო დოკუმენტაციით ტექნიკური საშუალებების ქონისა და გამოცდილების ზემოთ აღნიშნულის მსგავსი მოთხოვნა ფიქსირდება, ქ. ქობულეთში დ. აღმაშენებლის გამზირის ტროტუარებისა და ბორდიურების რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ტენდერში⁴, სადაც მოთხოვნილი იქნა 10 დასახელების 21 ერთეული ტექნიკა და 10 მილიონი ლარის ღირებულების ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილება, მათ შორის ერთ-ერთ ობიექტზე პრეტენდენტს შესრულებული უნდა ჰქონოდა არანაკლებ 1,5 მილიონი ლარის ანალოგიური სამუშაოები. აღნიშნულ ტენდერშიც მონაწილეობდა ერთი პრეტენდენტი და შესაბამისად გაიმარჯვა შპს „კომპანია ბლექ სი გრუპმა“.

მიგვაჩნია, რომ შესაბამისი არგუმენტაციის გარეშე, სატენდერო დოკუმენტაციით ტექნიკური საშუალებებისა და გამოცდილების ზემოთ მოყვანილი მოთხოვნა ზღუდავს

³ სატენდერო კომისიის ოქმი N124/2 . 7.08.2012

⁴ SPA 110030516

კონკურენციას და ხელს უშლის საბიუჯეტო რესურსის ეკონომიურ, პროდუქტიულ და ეფექტიან განკარგვას.

✓ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საჭიროებისათვის, მაღალგამავლიანი სატრანსპორტო საშუალების შესყიდვის მიზნით, 2011 წლის 8 დეკემბერს გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი. სატენდერო განცხადების შესაბამისად, შესყიდვის სავარაუდო ღირებულება 33,0 ათასი ლარით განისაზღვრა და ითვალისწინებდა 34113100 კლასიფიკატორის კოდით გათვალისწინებული ავტოსატრანსპორტო საშუალების - ჯიპის შესყიდვას. ტექნიკური დავალების შესაბამისად, აუცილებელი ტექნიკური მონაცემები განსაზღვრულია ზუსტი პარამეტრებით და მორგებულია კონკრეტულ მწარმოებელზე⁵.

შესყიდვის შედეგებიდან გამომდინარე, 2011 წლის 29 დეკემბერს შპს „ვენეციასა“⁶ და მუნიციპალიტეტს შორის გაფორმდა ხელშეკრულება 32,8 ათასი ლარის ღირებულებით, რომელიც ითვალისწინებდა 45 დღის ვადაში, ავტოსატრანსპორტო საშუალების - ჯიპის მიწოდებას. მისაწოდებელი ავტოსატრანსპორტო საშუალების მწარმოებელი და მოდელი არც ხელშეკრულებაში და არც მიღება-ჩაბარების აქტში არ არის მითითებული. ამასთან, დოკუმენტურად არ არის დაფიქსირებული ის ტექნიკური პარამეტრები, რომელიც მიწოდებულ ავტოსატრანსპორტო საშუალებას, სატენდერო განცხადებითა და ხელშეკრულებების პირობებით უნდა ჰქონოდა.

აუდიტის მიმდინარეობისას წარმოდგენილი დოკუმენტების შესაბამისად, გაფორმებულ ხელშეკრულებაში განხორციელებულია 3 ცვლილება, რომელთაგან მხოლოდ ორია ატვირთული სისტემაში⁷, ამასთან ვერც ერთი ცვლილების განხორციელებისათვის ვერ იქნა წარმოდგენილი სათანადო არგუმენტირებული მიზეზი. შედეგად მიმწოდებელზე პირგასამტეხლოს სახით არ იქნა დარიცხული 5,2 ათასი ლარი, რაც საბიუჯეტო სახსრების არაპროდუქტიულ განკარგვაზე მიუთითებს.

✓ შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთული სატენდერო დოკუმენტაციებით არ იყო განსაზღვრული წინასწარი ანგარიშსწორების ზღვრული პროცენტული ოდენობა და მისი დაზუსტება ხდებოდა შემსყიდველთან შეთანხმებით, ხელშეკრულების გაფორმების მომენტში. აღნიშნულ შემთხვევებში გაფორმებული ხელშეკრულებებით წინასწარი ანგარიშსწორების განსაზღვრისას, ადგილი აქვს არაერთგვაროვანი მიდგომის ფაქტებს. კერძოდ:

⁵ შეუსრულებელია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 121-მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნები.

⁶ შესყიდვის ერთადერთი პრეტენდენტი

⁷ შეუსრულებელია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-20 მუხლის 1 პუნქტის მოთხოვნები.

ათასი ლარი

N	ხელშეკრულების ნომერი და თარიღი	მიმწოდებელი	ღირებულება	წინასწარი ზღვრული პროცენტული ოდენობა	ანგარიშწორების ზღვრული პროცენტული ოდენობა
1	N247. 13.08.2012	შპს „ქეთურინა“	588.4		30%
2	N289. 13.12.2011	შპს „GORGIA-Z“	74.1		20%
3	N290. 13.12.2011	შპს „კომპანია ზლექ სი გრუპი“	3993,1		46%
4	N50. 17.02.2012	შპს „ბითისი ლტდ“	115.0		90%
5	N62. 29.02.2012	შპს „GORGIA-Z“	14.7		30%
6	N332. 30.12.2011	შპს „კომპანია ზლექ სი გრუპი“	1788.5		100%
	N91. 4.04.2012	შპს „ლიმე“	86.4		70%

3. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მიერ 2012 წელს , შესაბამისი დოკუმენტური დასაბუთების გარეშე, გაუთვალისწინებელი სამუშაოების ღირებულების სახით გადახდილია 21,5 ათასი ლარი, რაც საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივ განკარგვაზე მიუთითებს.

აუდიტის პერიოდში სატენდერო განცხადებითა და გაფორმებული ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად, ხარჯთაღრიცხვით განსაზღვრული გაუთვალისწინებელი სამუშაოებისათვის გამოყოფილი თანხის გამოყენება შესაძლებელი იყო შემსყიდველთან შეთანხმებით, შესაბამისი მოტივირებული დასკვნის საფუძველზე, მხოლოდ სამუშაოს შესრულების პროცესში დამატებით ჩასატარებელი ახალი სახეობის სამუშაოების შესასრულებლად. აუდიტის მიმდინარეობისას, ქვემოთ მოყვანილ შემთხვევებში ვერ იქნა წარმოდგენილი გაუთვალისწინებელი სამუშაოების შესაბამისი მოტივირებული დასკვნა და მუნიციპალიტეტთან შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტები. ამასთან, ამ შემთხვევებში სამუშაოები იგივე სახისაა, რაც ხარჯთაღრიცხვით იყო გათვალისწინებული. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, გაუთვალისწინებელი სამუშაოებისათვის გადახდილი 21,5 ათასი ლარი გადახდილია შესაბამისი დოკუმენტური დასაბუთების გარეშე, რაც საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივ განკარგვაზე მიუთითებს.

ათასი ლარი

N	ხელშეკრულების ნომერი და თარიღი	მიმწოდებელი	გაუთვალისწინებელი სამუშაოების ღირებულება	შენიშვნა
1	N247. 13.08.2012	შპს „ქეთურინა“	14,5	ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული სამუშაოები
2	N226. 27.07.2012	შპს „ფოთი-ენერგო“	7,0	ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული სამუშაოები

4. აუდიტის პერიოდში ადგილი აქვს შესასყიდი საქონლის კლასიფიკატორის არასწორად განსაზღვრის ფაქტებს. ამასთან, არ ტარდებოდა ბაზრის კვლევა, რითაც განისაზღვრებოდა მუნიციპალიტეტისათვის მისაღები ხელშეკრულების ოპტიმალური პირობები.

აუდიტის პერიოდში ორჯერ⁸ გამოცხადებული იქნა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი, მეტყვევობისა და ტყეკაფვის პროდუქტების შესყიდვის შესახებ. სატენდერო განცხადებებით განსაზღვრული კლასიფიკატორის კოდის - 03441000 (დეკორატიული მცენარეები, ბალახი, ხავსი ან ხავსურა) შესაბამისად, შესყიდვას დაექვემდებარა 250 ცალი დეკორატიული მცენარე - 16,0 ათასი ლარის სავარაუდო ღირებულებით. სატენდერო დოკუმენტაციებით შესყიდვას დაექვემდებარა ფორთოხლის, ფეიხოს, მაგნოლიისა და ვარდის ნერგები, რომლებიც არ წარმოადგენენ დეკორატიულ მცენარეთა სახეობებს და შესაბამისად ექვემდებარებოდა კლასიფიკატორის კოდით - 03451000 (სანერგე მეურნეობის პროდუქცია-მცენარეები) შესყიდვას.

შესყიდვების შედეგებიდან გამომდინარე⁹, მუნიციპალიტეტსა და ი/მ „ნოდარ დავითაძეს“ შორის გაფორმდა ხელშეკრულებები¹⁰ არა დეკორატიული მცენარეების, როგორც ეს სატენდერო განცხადებით იყო განსაზღვრული, არამედ მერქნიანი ხე-მცენარეების მიწოდების შესახებ. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება 9,6 ათასი ლარით განისაზღვრა და ითვალისწინებდა ფორთოხლის - 50 ცალი, ფეიხოს - 140 ცალი, მაგნოლიის - 10 ცალი და ვარდის - 50 ცალი ნერგების მიწოდებას. ხელშეკრულებებით განსაზღვრული ფასების ცხრილის შესაბამისად, ერთეულის ღირებულება ფორთოხლისათვის განისაზღვრა - 120 ლარით, ფეიხოსათვის - ერთ შემთხვევაში- 40 ლარით, ხოლო მეორე შემთხვევაში - 54,4 ლარით, მაგნოლიისთვის - 70 ლარით და ვარდისთვის - 10 ლარით. ამასთან აღსანიშნავია, რომ არ ჩატარებულა ბაზრის კვლევა, რითაც განისაზღვრებოდა მუნიციპალიტეტისათვის მისაღები ხელშეკრულების ოპტიმალური პირობები¹¹.

5. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ მოქმედი კანონმდებლობის შეუსრულებლობის პირობებში, არ იქნა გამოყენებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებამოსილება პირგასამტეხლოს სახით 24,7 ათასი ლარის დარიცხვის შესახებ, რაც საბიუჯეტო სახსრების არაპროდუქტიულ განკარგვაზე მიუთითებს.

აუდიტის პერიოდში გამოვლინდა 4 შემთხვევა, როცა არ მოხდა, ან არასრულად მოხდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან არათავისდროული შესრულებისათვის საჯარიმო სანქციების გამოყენება, რის შედეგადაც მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში არ იქნა მიმართული 24,7 ათასი ლარი. კერძოდ:

⁸ SPA 120010760, SPA 120012733,

⁹ შესყიდვაში მონაწილეობა მიიღო 1 პრეტენდენტმა

¹⁰ N111. 30.04.2012. N128. 11.05.2012

¹¹ შეუსრულებელია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის მოთხოვნები.

ათასი ლარი

N	ხელშეკრულების ნომერი და თარიღი	მიმოდებელი	თანხა	დარიცხული პირგასამტეხლო	ექვემდებარება პირგასამტეხლოს სახით დარიცხვას	შენიშვნა
1	N183. 25.06.2012	შპს „ჭედა“	86.8	617	1,4	ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევა
2	N50. 17.02.2012	შპს „ბითისი ლტდ“	115.0	0	13,8	
3	N91. 4.04.2012	შპს „ლიმე“	86.4	0	4,6	
4	N19. 12.01.2012	შპს „გემო“	43.3	0	4,9	

6. აუდიტის პერიოდში გამოვლინდა 9 შემთხვევა, როცა მიმწოდებლის წერილებისა და შესაბამისი სამსახურების არაარგუმენტირებული მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, გაგრძელებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების ვადები. შედეგად მიმწოდებელზე პირგასამტეხლოს სახით არ იქნა დარიცხული 212,1 ათასი ლარი, რაც საბიუჯეტო სახსრების არაპროდუქტიულ განკარგვაზე მიუთითებს.

მუნიციპალიტეტსა და შპს „თექ-ევ ინშაათ დეკორასიონ თააჰჰუთ იჩ ვე დიშ თიჯარეთ ლიმიტედ შირქეთოს“ შორის 2012 წლის 4 მაისს გაფორმდა ხელშეკრულება, ქობულეთში ცენტრალური პარკის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვაზე. სახელშეკრულებო ღირებულება 1277,0 ათასი ლარით, ხოლო სამუშაოს შესრულების ვადა ხელშეკრულების გაფორმებიდან 90 კალანდარულით დღით, ანუ 2012 წლის 3 აგვისტომდე პერიოდით განისაზღვრა.

სამუშაოთა შესრულების ვადის ბოლო დღეს, ხელშეკრულებაში განხორციელებული ცვლილების შედეგად, ვადა გაგრძელებული იქნა 15 კალენდარული დღით, 2012 წლის 17 აგვისტომდე. ცვლილებას საფუძვლად დაედო სპეციფიკური სამუშაოების მოცულობის ზრდა, ტურისტული სეზონი და პარალელურად შეფერხებებით მიმდინარე შადრევანის მშენებლობა, რის გამოც ვერ ხერხდებოდა შადრევანის ირგლივ დეკორატიული ფილების დაგება. სამუშაოთა შესრულების ვადის გაგრძელების ზემოთ მოყვანილი მიზეზები ფორს-მაჟორულ გარემოებად ვერ განიხილება, რადგან სპეციფიკური სამუშაოების მოცულობის ზრდასთან ერთად, მოხდა სხვა სამუშაოების მოცულობების შემცირება. ტურისტული სეზონი ქობულეთისათვის მოულოდნელობად არ განიხილება, ხოლო რაც შეეხება დეკორატიული ფილების დაგების სამუშაოებს, ისინი ხელშეკრულებაში ცვლილებების განხორციელების მომენტისთვის დასრულებული იყო. შედეგად მიმწოდებელზე პირგასამტეხლოს სახით არ იქნა დარიცხული 89,4 ათასი ლარი, რაც საბიუჯეტო სახსრების არაპროდუქტიულ განკარგვაზე მიუთითებს.

არაარგუმენტირებული საფუძვლით ხელშეკრულების ვადები გაგრძელებულია:

ათასი ლარი

N	ხელშეკრულების ნომერი და თარიღი	მიმოდებელი	თანხა	პირგასამტეხლო	ვადის გაგრძელების მიზეზი	შენიშვნა
1	N 138. 7.05.2013	შპს „დელტა-კომი“	34,1	2,4	მიზეზი არაა განმარტებული	
2	N133. 16.05.2012	შპს „ალავერდი XXII“	69,0	20,7	მიზეზი არაა განმარტებული	
3	N166. 14.06.2012	შპს „ქეთურინა“	267,4	33,4	მიზეზი არაა განმარტებული	
4	N94. 09.07.2012	შპს „ქეთურინა“	350,8	14,6	ახალი სამუშაოების დამატება	ახალი სამუშაოები დამატდა სხვა სამუშაოების შემცირების ხარჯზე
5	N246. 27.08.2012	შპს „თექ-ევ ინშაათ დეკორასიონ თააჰჰუთ იჩ ვე დიშ თიჯარეთ ლიმიტედ შირქეთი-ს ფილიალი საქართველოში	372,9	22,4	მიზეზი არაა განმარტებული	
6	N226. 27.07.2012	შპს „ფოთი-ენერგო“	233,6	5,8	მიზეზი არაა განმარტებული	
7	N289. 13.12.2011	შპს „Gorgia-z“	74,0	18,2	უამინდობა	უამინდობის მოტივით ხელშეკრულების ვადა გაგრძელებულია 60 კალენდარული დღიდან 110 კალენდარულ დღემდე
8	N329 29.12.2011	შპს „ვენეცია“	32,8	5,2	მიზეზი არაა განმარტებული	

7. აუდიტის პერიოდში გაფორმებულ ხელშეკრულებებში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, შეიცვალა ჩატარებული ტენდერების შედეგებით განსაზღვრული შესასრულებელ სამუშაოთა ერთეულის ღირებულება, რითაც მიმწოდებელზე ზედმეტადაა ანაზღაურებული 54,4 ათასი ლარი, რაც საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივ განკარგვაზე მიუთითებს.

მუნიციპალიტეტის მიერ, 2012 წლის 29 მარტს გამოცხადებული ელექტრონული ტენდერის¹² შედეგების გათვალისწინებით, 2012 წლის 4 მაისს შპს „თექ-ევ ინშაათ დეკორასიონ თააჰჰუთ იჩ ვე დიშ თიჯარეთ ლიმიტედ შირქეთთან“ გაფორმდა ხელშეკრულება ქობულეთში ცენტრალური პარკის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვაზე. სახელშეკრულებო ღირებულება 1277,0 ათასი ლარით, ხოლო სამუშაოს შესრულების ვადა ხელშეკრულების გაფორმებიდან 90 კალანდარულით დღით, ანუ 2012 წლის 3 აგვისტომდე პერიოდით განისაზღვრა.

ხელშეკრულების მიმდინარეობისას განხორციელდა 4 ცვლილება, რომლის შედეგადაც შეიცვალა ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებულ სამუშაოთა მოცულობები, ამოღებული და დამატებული იქნა ახალი სამუშაოები. ამასთან, სამუშაოთა ცვლილებისას 5 შემთხვევაში გაზრდილია ტენდერის შედეგად დაფიქსირებული ფასები სამუშაოთა ერთეულზე, რის შედეგადაც მიმწოდებელზე ზედმეტადაა არის ანაზღაურებული 17,6 ათასი ლარი.

სამუშაოთა შესრულების შესახებ წარმოდგენილი დოკუმენტების შესაბამისად, შეუსრულებელია 11,1 ათასი ლარის სახარჯთაღრიცხვო ღირებულების სამუშაოები. კერძოდ, დაგებული ბეტონის საფარის მოცულობამ, ნაცვლად ხელშეკრულებით გათვალისწინებული 1800 კვ.მ-ისა, 1250 კვ.მ შეადგინა, რაც ინსპექტირების ჯგუფის განმარტებით, გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ ბეტონის საფარის სრულად მოწყობის

¹² SPA 120009817

შემთხვევაში, ირღვეოდა ქობულეთის ცენტრალური პარკის საკადასტრო საზღვრები, თუმცა ბეტონის საფარის საფუძვლის მოწყობის სამუშაოები შესრულებულია სრული მოცულობით, რაც ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების სრულად შეუსრულებლობის ზემოთ მოყვანილი მიზეზის საპირისპირო გარემოებაა და ხელშეკრულების შეუსრულებლობასთან დაკავშირებით მნიშვნელოვან რისკ-ფაქტორს წარმოადგენს. ამასთან, გაზრდილია ბეტონის საფარის დაგებისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ერთეულის ღირებულება 2332 ლარით და შესაბამისად შესრულებულ სამუშაოთა მოცულობის გათვალისწინებით შემსრულებელზე ზედმეტად არის ანაზღაურებული 4,1 ათასი ლარი.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, ჩატარებული ტენდერების შედეგებით განსაზღვრული შესასრულებელ სამუშაოთა ერთეულის ღირებულები გაზრდილია:

ათასი ლარი				
N	ხელშეკრულების ნომერი და თარიღი	მიმოდებელი	თანხა	ზედმეტად ანაზღაურებულია
1	N166. 14.06.2012	შპს „ქეთურინა“	267,4	6,5
2	N94. 10.04.2012	შპს „ქეთურინა“	365,8	5,0
3	N109. 27.04.2012	შპს „თქ-ევ ინშაუტ დეკორასიონ თააჰჰუთ იზ ვე დიშ თიჯარეთ ლიმიტედ შირქეთი“	1052,6	21,2

8. შესყიდვების მართვასთან დაკავშირებული ხარვეზის შედეგად, აუდიტის პერიოდში ადგილი აქვს სათანადო არგუმენტაციის გარეშე ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა და არასათანადო დოკუმენტაციის საფუძველზე 51,0 ათასი ლარის საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის ფაქტებს, რაც საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივ განკარგვაზე მიუთითებს.

ქობულეთის მუნიციპალიტეტის მიერ, ჩატარებული ელექტრონული ტენდერის¹³ შედეგების გათვალისწინებით, 2012 წლის 1 მარტს შპს „სანდასუფთავებასთან“ გაფორმდა ხელშეკრულება, ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის სანიტარული დასუფთავების მომსახურების შესყიდვის შესახებ. ხელშეკრულების ღირებულება 1097,5 ათასი ლარით განისაზღვრა და ითვალისწინებდა 1545,9 ათასი კვ.მ ფართობის დაგვა-დასუფთავებას, ქალაქ ქობულეთისა და დაბა ჩაქვის ტერიტორიაზე მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის გადაადგილების აღკვეთას, მაწანწალა ცხოველების გაუვნებელყოფას, ნაგავსაყრელი პოლიგონის მოვლა-პატრონობას, ქუჩების მორწყვა-მორეცხვას და თოვლის საფარისგან გაწმენდას.

ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მიწოდების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშებისა და მიღება-ჩაბარების აქტების შესაბამისად ირკვევა:

¹³ SPA 120003001

- ქუჩების მორწყვა-მორეცხვისათვის, ნაცვლად ხელშეკრულებით გათვალისწინებული 260 რეისისა, შესრულებულია 20 რეისი, თუმცა შეუსრულებლობის მიზეზები არ არის წარმოდგენილი;

- გაუვნებელყოფილია ხელშეკრულებით გათვალისწინებული 1000 სული მაწანწალა ცხოველი, რისთვისაც გადახდილია 19,0 ათასი ლარი, თუმცა აღნიშნულის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი არ არის წარმოდგენილი;

- ნაგავსაყრელის მოვლისათვის ყოველთვიურად გადახდილია 3,2 ათასი ლარი, სულ 32,0 ათასი ლარი, თუმცა რა სამუშაოს ითვალისწინებდა ამ მიმართებით ხელშეკრულება და რეალურად რა სამუშაოები შესრულდა, ცნობილი არ არის.

ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, ადგილი აქვს სათანადო არგუმენტაციის გარეშე ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა და არასათანადო დოკუმენტაციის საფუძველზე 51,0 ათასი ლარის საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის ფაქტებს, რაც საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივ განკარგვაზე მიუთითებს.

პირობითი მოსაზრება კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძველზე აღწერილი საკითხების გარდა, მუნიციპალიტეტისა და მისდამი დაქვემდებარებული ორგანიზაცია-დაწესებულებების საქმიანობა და ფინანსური ოპერაციები, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, შესაბამისობაშია მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებთან.

მნიშვნელოვან საკითხთა ხაზგასმა

• შესყიდვების დაგეგმვა-შესრულება

აუდიტის პერიოდში, ხელშეკრულების შესრულების მიმდინარეობის დროს განხორციელებული ცვლილებების შედეგად, ხარჯთაღრიცხვაში არსებული უზუსტობების აღმოფხვრის მოტივით, განხორციელებულია ფართო მაშტაბის ცვლილებები. შეცლილია ხარჯთაღრიცხვებით გათვალისწინებულ სამუშაოთა უმრავლესობა და დამატებულია ახალი სამუშაოები, რაც სახელმწიფო შესყიდვების არასათანადო დაგეგმვა - წარმართვაზე მიუთითებს. ამასთან, რიგ ხელშეკრულებებში განხორციელებული ცვლილებები არ არის შეთანხმებული პროექტის ავტორთან¹⁴.

• შესრულებულ სამუშაოთა მიღება-ჩაბარების მდგომარეობა

მუნიციპალიტეტის მიერ 2012 წელს გაფორმებული ხელშეკრულებებით განსაზღვრულია ინსპექტირების ჯგუფის მიერ საბოლოო მიღება - ჩაბარების აქტების

¹⁴ შეუსრულებელია საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილებით დამტკიცებული „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანაბართვო პირობების“ 64 -ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნები.

გაფორმების ვადა და ის ცალკეულ შემთხვევებში 10-დან 20 სამუშაო დღემდე გრძელდება. აღნიშნულ მიღება-ჩაბარების აქტებში, ინსპექტირების ჯგუფის მიერ ხაზგასმითაა მითითებული, რომ მათ მიერ შესრულებული სამუშაოების ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობის დადგენა, ვიზუალური დათვალიერებით შემოიფარგლება.

ინსპექტირების ჯგუფის მიერ ასეთი სახის სამუშაოს ჩატარება სამუშაო დროის დიდ მოცულობასთან არ არის დაკავშირებული და შესაბამისად ხელშეკრულებით დადგენილ ზემოთ მოყვანილი ვადებთან შეუსაბამობაშია, რაც შესაძლოა მიმწოდებელის მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულების არათავისდროული შესრულების დაფარვის და შესაბამისად პირგასამტეხლოს დარიცხვის თავიდან ასაცილებლად იყოს მიმართული.

• ბიუჯეტის შედგენა -შესრულების მდგომარეობა

ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილებების (9 ცვლილება) შედეგად, 2012 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსულობები 26 870,4 ათასი ლარით განისაზღვრა.

შემოსულობების მაჩვენებლების შესრულების მდგომარეობა

2012 წლის ქობულეთის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსულობებმა 27507,8 ათასი ლარი შეადგინა, რაც საბიუჯეტო გეგმით განსაზღვრული მოცულობის 102,4 პროცენტს შეადგენს.

შემოსავლების მაჩვენებლების შესრულების მდგომარეობა

ქობულეთის მუნიციპალიტეტის სახაზინო სამსახურის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, 2012 წელს მიღებული შემოსავლების ფაქტობრივი მოცულობა, 27189,5 ათასი ლარი, წლიური ბიუჯეტით განსაზღვრული პროგნოზის 101,8 პროცენტს შეადგენს.

საგადასახადო შემოსავლები

საგადასახადო შემოსავლების მოცულობამ 2012 წელს 1575,0 ათასი ლარი შეადგინა, რაც საპროგნოზო მაჩვენებელზე 498,2 ათასი ლარით მეტია და წლიური საბიუჯეტო გეგმის 146,3 პროცენტია. ცალკეული გადასახადის სახეების მიხედვით საბიუჯეტო გეგმა შესრულებულია: საწარმოთა ქონების გადასახადი(გარდა მიწისა) – 174,9 %-ით (გეგმა- 591,5 ათასი ლარი, ფაქტი-1034.3 ათასი ლარი); ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადი(გარდა მიწისა) – 206%-ით (გეგმა- 40,5 ათასი ლარი, ფაქტი- 83,4 ათასი ლარი); სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადი - 267,7%-ით (გეგმა -44,8 ათასი ლარი, ფაქტი -120,1 ათასი ლარი); არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადი - 83,8%-ით, (გეგმა - 400,0 ათასი ლარი, ფაქტი - 335,1 ათასი ლარი).

გრანტები

2012 წლის ბიუჯეტში გრანტების სახით ჩარიცხულია 23646,8 ათასი ლარი, რაც გეგმის 99,8 პროცენტია, ანუ გეგმის შესრულებას დააკლდა 58,2 ათასი ლარი.

გრანტების სახით მიღებულია

N	დასახელება	გეგმა	საკასო შესრულება	შესრულება %	გადახრა
1	გათანაბრებითი ტრანსფერი	6224,5	6224,5	100	0
2	აჭარის ა.რ. რესპუბლიკური ბიუჯეტის ტრანსფერი	15549,0	15545,2	99,9	3,8
3	სპეციალური ტრანსფერი	1909,5	1877,1	98,3	32,4
4	საეთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები	22,0	0	0	22,0
	ჯამი	23683,0	23646,8	99,8	36,2

სხვა შემოსავლები

სხვა შემოსავლებიდან მობილიზებული თანხები -1967,7 ათასი ლარი, 2012 წლის საპროგნოზო მაჩვენებლით განსაზღვრული მოცულობის 101,5 პროცენტია. საანგარიშო პერიოდში, მიუხედავად საპროგნოზო მაჩვენებლის გადაჭარბებით შესრულებისა, ადგილი აქვს „შემოსავლები საკუთრებიდან“ სახეში საბიუჯეტო გეგმის შეუსრულებლობას, სადაც გეგმა შესრულებულია 84,6 %-ით (გეგმა 1314,0 ათასი ლარი, ფაქტი - 1111,2 ათასი ლარი). გეგმა შესრულებულია 94,9 პროცენტით (გეგმა 47,0 ათასი ლარი, ფაქტი 44,6 ათასი ლარი).

არაფინანსური აქტივების კლება

არაფინანსური აქტივების (მიწა) კლებით მიღებული თანხების ოდენობამ 318,4 ათასი ლარი შეადგინა, რაც 2012 წლის პროგნოზის 212,2 პროცენტია და 168,4 ათასი ლარით მეტია საბიუჯეტო გეგმის მაჩვენებელზე.

2012 წლის გადასახდელები

2012 წლის გადასახდელების საპროგნოზო მოცულობა 32850,4 ათასი ლარით განისაზღვრა. საანგარიშო პერიოდში გადასახდელების სახით გადახდილი თანხების ფაქტიურმა მოცულობამ 30072,0 ათასი ლარი შეადგინა, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლი 91,5 პროცენტით შესრულდა და გეგმის შესრულებას 2778,4 ათასი ლარი დააკლდა.

ხარჯები

გადასახდელების სახით გადახდილი თანხების ფაქტიური მოცულობის 33,3 პროცენტი (10021,8 ათასი ლარი) ხარჯებმა შეადგინა, რაც წლიური საბიუჯეტო კანონით განსაზღვრული მოცულობის 85,1 პროცენტს შეადგენს.

საანგარიშო პერიოდში, გეგმასთან (11780,7 ათასი ლარი) შედარებით დაუფინანსებელი ხარჯების მოცულობამ 1758,8 ათასი ლარი შეადგინა. მათ შორის: შრომის

